

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
2023 წლის 22 მაისის №26 დადგენილებით

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული
მომზადების პროგრამის /პროფესიული გადამზადების პროგრამის
დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და
განვითარების მეთოდოლოგია /წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის /პროფესიული გადამზადების პროგრამის /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში „პროგრამა“) დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის პროცედურებს.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო უნივერსიტეტში მოიცავს III-V დონის საგანმანათლებლო პროგრამებს (მოდულური/დუალური);
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა /პროფესიული მომზადების პროგრამა /პროფესიული გადამზადების პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო უნივერსიტეტის მისიას და ეფუძნებოდეს დაინტერესებულ მხარეების დარგის სპეციალისტის /პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებულ მხარეების კვლევის ანალიზს.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის /პროფესიული გადამზადების პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების პროცესის ეფექტურ განხორციელებას კოორდინირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კარიერის განვითარების ცენტრთან და პროფესიული განათლების დეპარტამენტის თანამშრომლობით.

5. წინამდებარე წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე აქტებისა და სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული რეკომენდაციების საფუძველზე.
6. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს.

მუხლო 2. ტერმინთა განმარტება

1. **პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი** - დოკუმენტი, რომელთაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში); სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის (გეგმის) დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების პროცესში მონაწილეობას იღებს შესაბამისი დარგის სპეციალისტი/პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, და მსაქმელები.
2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** - პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი მოდულების ერთობლობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები.
3. **საშუალო საფეხურის ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გზით

შემუშავებული პროგრამა, რომლის მიზანია საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლას პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით.

4. **მოდული** – პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლას შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დამადასტურებელ პირობებს;
5. **ინტეგრირება** - ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მოთხოვნების ასახვა პროგრამის იმ კომპონენტებში, რომლებიც ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციების ან/და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და განვითარებაზე.
6. **ინტეგრირებული ზოგადი მოდული** - ინტეგრირების მიზნებისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ზოგადი მოდულებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის სავალდებულო საგანთა ჯგუფის გაერთიანება.
7. **პროფესიული მომზადების პროგრამა** - პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებულ ცალკეულ ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით, რომელზეც არ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომი და გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული მიღებული ცოდნა-უნარების დამადასტურებელ სერთიფიკატი;
8. **პროფესიული გადამზადების პროგრამა** - პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შემქნა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლას შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე- 2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით, რომელზეც არ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომი და გაიცემა

სახელმწიფოს მიერ აღიარებული მიღებული ცოდნა-უნარების დამადასტურებელი სერთიფიკატი;

9. დიპლომის დანართი/სერტიფიკატის დანართი - დოკუმენტი, რომელსაც გასცემს სასწავლო უნივერსიტეტი პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად.
10. სამუშაო ჯგუფი -შესაბამისი დარგის მასწავლებლებისაგან, დარგის/განათლების სპეციალისტებისაგან და დაინტერესებული პირებისაგან (დამსაქმებელ სხვა) შემდგარი ჯგუფი.
11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა - შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელს (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელს ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელს)საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლს საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელს მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;
12. ტერმინებს, რომლებიც ამ წესით არ არის განმარტებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

1. სასწავლო უნივერსიტეტი მიზანშეწონილობის დასაბუთებით შეიმუშავებს ორი სახის საგანმანათლებლო პროგრამას (მოდულური/დუალური), რომელთაგან ერთი (დუალური) განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილ კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური/დუალური) შემუშავების საფუძველია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ან/და სხვა სამართლებრივი აქტი.
3. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ძირითად დოკუმენტს

(ა და პტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტი) და მის დაწარმებს;

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტი;

- 4.1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტს ადაპტირების პროცესში უკეთდება თავფურცელი, სადაც მიეთითება სასწავლო უნივერსიტეტის სრული დასახელება ლოგოსთან ერთად, პროგრამის დასახელება, დამტკიცების რეკვიზიტები, განხორციელების ადგილი, შემუშავების თარიღი (წელი) და ადგილი, პროგრამის ხელმძღვანელს შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია და ადაპტირების შემდგომ მოიცავს ინფორმაციას:
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დასახელებასა და სარეგისტრაციო ნომერს, რომელს საფუძველზეც შემუშავდა პროგრამა;
 - კურსდამთავრებულსთვის მისანიჭებელკვალიფიკაციას;
 - პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, რომელც ეყრდნობა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შესაძლოა ეს იყოს განათლების დონე (საბაზო/სრული ზოგადი) და პროფესიის სპეციფიკის გათვალისწინებითსხვა დამატებითი მოთხოვნები.
 - ინფორმაციას პროგრამის მიზნების, დასაქმების შესაძლებლობების, კურსდამთავრებულთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგებისა და მათი კარიერული შესაძლებლობების შესახებ.
 - პროგრამის სტრუქტურას, რომელც მოიცავს მოდულებს;
 - პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამებისთვის -
 - ინფორმაციას პროგრამის ხანგრძლივობისა და მოცულობის (კრედიტები) შესახებ ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის ცალცალკე. იმ შემთხვევაში თუ პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების კომპონენტები, მაშინ პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა (კრედიტები) განისაზღვრება დამატებით საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხული არაქართულენოვანი და ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის ცალცალკე;
 - ინფორმაციას სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების, მათ შორის მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენის კომპეტენციის შეფასების მიდგომების გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ.
 - პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების პირობებს.

- ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების უზრუნველყოფად.

4.2. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ორივე ტიპის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად დოკუმენტს (ადაპტირებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი) თანახმად დაწესდა:

- მოდული;
- სასწავლო გეგმა, მათ შორის ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის გაწერილი. ხოლო დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების შემთხვევაში სასწავლო გეგმასთან ერთად პროგრამასთან ერთად საწარმოსა და სასწავლო უნივერსიტეტს შორის სწავლის შედეგების მიღწევის გადაწყვეტილების სქემა.
- ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალის შესახებ;
- ინფორმაცია პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ან/და მემორანდუმის საფუძველზე პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკული კომპონენტების გავლს მიზნით ხელმისაწვდომი მატერიალური რესურსის შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში პროფესიული პროგრამის განხორციელების მიდგომები (მაგ. კიბრიდული)

4.3. მესამე დონის არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის სავალდებულოა ქართული ენა A2 მოდულის გავლა, ხოლო მეოთხე და მეხუთე დონის არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდული.

4.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სავალდებულო ზოგად და პროფესიულ მოდულებს. მათი შეცვლას უფლება სასწავლო უნივერსიტეტს არგააჩნია.

4.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე პროფესიული პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20%-ისა.

4.6. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია არგაითვალისწინოს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეთავაზებული არჩევითი მოდული და შეარჩიოს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ, ეს შეიძლება იყოს სხვა პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი მოდული, მათ შორის სხვადასხვა უცხოური ენა. არჩევითი მოდული ლოგიკურად უნდა იყოს ბმავი

პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული. სასწავლო უნივერსიტეტს შეუძლია საერთოდ გაითვალისწინოს არჩევითი მოდულები, თუ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი არ ითხოვს მის აუცილებლად გათვალისწინებას.

4.7. არჩევითი მოდული განავრცობს სავალდებულო პროფესიული მოდულის ცოდნასა და უნარებს სპეციალიზებულ კონტექსტში, ანუ შექმნის დამატებით ვიწრო სპეციალიზაციის შესაძლებლობას ან მოიცავს ისეთ ახლასპექტებს, რომელიც მოცემულ პროფესიულ სფეროს სხვა სფეროს დაუკავშირებს; უზრუნველყოფს დამატებით ცოდნისა და უნარების შეძენას მომიჯნავე სპეციალიზაციაში ან მოიცავს დამატებით ტრანსფერულ საკვანძო უნარებს, რომლებიც მნიშვნელოვანია შემდგომი პიროვნული განვითარების, დასაქმებისა (პერსპექტივების გაზრდისთვის) თუ თვითდასაქმებისათვის.

4.8. არჩევითი მოდულებად დასაშვებია პროგრამის დონისაგან განსხვავებული დონის მოდულების გამოყენება. მაღალი დონის პროგრამებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაბალი დონის არჩევითი მოდულები. ხოლო დაბალი დონის პროგრამებში – მაღალი დონის მოდულები, თუ დაშვების წინაპირობები (წინმსწრები განათლება ან სხვა მოდული) უზრუნველყოფილია.

4.9. იმ შემთხვევაში, თუ მოდულს შერჩევა სადაოხდება პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის, დება შესაბამისი ოქმი და მიიღება დასაბუთებული გადაწყვეტილება.

4.10. თუ ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა. თუ პროგრამა სპეციალობის სავალდებულო მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ ზოგადი უცხოური ენა იგივე უნდა იყოს.

4.11. ქართული ენის მოდულები წარმოადგენს ყველ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ აუცილებელ ნაწილს. ქართული ენის მოდულები შექმნილია არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის და საშუალებას იძლევა, გაიზარდოს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა. ქართული ენის მოდულებს პირი გადის იმ შემთხვევაში, თუ ის ერთიან პროფესიულ ტესტირებას აბარებს ან/და შერჩევის პროცედურას გადის არა ქართულ კერძოდ: სომხურ, რუსულ აზერბაიჯანულ ენებზე. ო არაქართულ ტესტირება გავლელ აპლიკანტის მიღების/ჩარიცხვის შემდეგ, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მისთვის ქართული ენის მოდულების გავლეს კურსიული წესით, ხოლო შემდეგ, სპეციალობის მოდულების განხორციელებას. შემუშავებულ სასწავლო გეგმას ცალკე

პუნქტად ერთვის ქართული ენის მოდულები. ქართული ენა A2 III დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის, ხოლო ქართული ენა A2 და ქართული ენა B1, IV და V დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის;

4.12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს მიღება/მოწვევა ხორციელდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით ზეპირი გასუბრების საფუძველზე. გასაუბრებას ატარებს რეტორი/ადმინისტრაციის ხელმძღვანელი/ პროფესიული განათლების დეპარტამენტი/ იურიდიული, საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად და ფორმდება ადმინისტრაციული აქტით.

5. მოდულის ადაპტირება

5.1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ადაპტირების შემდეგ სასწავლო უნივერსიტეტი განახორციელებს მასში შემავალი თითოეული მოდულის ადაპტირებას.

5.2. მოდული წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტის შემადგენელ კომპონენტს და მტკიცდება მასთან ერთად. მოდულში ცვლლების აუცილებლობის შემთხვევაში გამოიცემა აქტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტის შესაბამის დაწარმოი ცვლლების შეტანის შესახებ.

5.3. როგორც პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ასევე მოდულებსაც უკეთდება თავფურცელი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაწარმოი N--, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მოდულის სტატუსი, მოდულის დამტკიცების წელი და მიეთითება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის დაწარმოებად).

5.4. მოდული შედგება სამინისტროსაგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.

5.5. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას მოდულით განსაზღვრული ზოგადი და სტანდარტული ჩანაწერები სავალდებულოა, თუმცა სტანდარტულ ჩანაწერებში ცვლილებები დასაშვებია, თუ ის გამოწვეულია კომპეტენციის პარამეტრის ფარგლების ან/და შესრულების კრიტერიუმების დამაზუსტებელ განმსაზღვრელ ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებებით. ასეთ შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი აღნიშნული სახის ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში აცნობებს.

- 5.6. და მხმარე ჩანაწერები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლელების შეტანა. კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს სასწავლო თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგის კონტექსტში, სწავლ/სწავლებისა და შეფასების მეთოდები, მტკიცებულებების შეგროვებისა და მოდულის განხორციელების მიდგომები, საათების გადანაწილების სქემა.
- 5.7. საათების განაწილების სქემაში სასწავლო უნივერსიტეტს შეუძლია ასახოს თავისი მიდგომები. თუმცა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საათების გადანაწილების სქემაში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილება საბოლოო ჯამში უნდა დარჩეს, ისე, როგორც მოდულშია,
- 5.8. მოდულში მიეთითება განხორციელების ადგილი ან ადგილები, აუდიტორია სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელების შემთხვევაში უნივერსიტეტის დასახელება, მისამართი, აუდიტორიის ნომერი, გარემო (A, B, C), ხოლო საწარმოში განხორციელების შემთხვევაში პარტნიორი ორგანიზაციის დასახელება და მისამართი.
- 5.9. არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო A, B და C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდულო ერთ სივრცეში იქნეს განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და B ან B და C ან A და C გარემო.
- 5.10. საგანმანათლებლო რესურსი შერჩეულია სასწავლო უნივერსიტეტის . საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ქალაქების/ელექტრონული მატარებლების, არსებული ლტერატურის, კონსპექტების, ვებ-გვერდებისა და სხვა წყაროების გათვალისწინებით, რასაც სასწავლო უნივერსიტეტი გამოიყენებს სწავლების პროცესში და რომლებიც პროფესიული სტუდენტებისთვის იქნება ხელმისაწვდომი.
- 5.11. მოდულო მოიცავს რეკომენდაციებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების, კერძოდ საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის ობრივ ან რაოდენობრივ

ცვლილებას) და /ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო და მათებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის.

6. სასწავლო გეგმის შედგენა.

6.1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულების ადაპტირების შემდეგ, სასწავლო უნივერსიტეტი შეიმუშავებს სასწავლო გეგმას;

6.2. სასწავლო გეგმა იმლავა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და არსებობის შემთხვევაში დაცულია მოდულზე და შვების წინაპირობები.

6.3. სასწავლო გეგმა თავის თავში მოიცავს „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ მოულებს.

6.4. მოდულს განხორციელება /სწავლის შედეგების და დასტურება ხორციელდება შესაბამისი წესის გათვალისწინებით.

6.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: მოცულობა შესაძლოა შეიცვალოს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე. შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაც;

6.6. როცა მოდული არის სხვა მოდულზე და შვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება ხორციელდება ერთვირიანი ინტერვალთ, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა.

6.7. კვირაში პროფესიული სტუდენტის და ტვირთვა, და მოუკიდებელი საათების ჩათვლით, ძირითად დარარის 30 საათზე ნაკლები და არ აღემატება 40 საათს, თუმცა პროგრამის /მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით კვირეული და ტვირთვა შესაძლებელია იყოს 30-ზე ნაკლები. ასევე დუალური პრინციპით სწავლებისას, შესაძლოა მხედველობაში იქნეს მიღებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის N329 დადგენილება „სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალს დამტკიცების შესახებ“, რომლითაც პროფესიული

განათლება ასეთ დარგს მიეკუთვნება. მოდულში მოცემული საათები (1 კრედიტი უდრის 25/30 საათს) წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტის და არა პროფესიული მასწავლებლის დატვირთვას მოდულური პროგრამების განსახვავებით, სადაც კრედიტი გამოხატავს პროფესიულ სტუდენტის სასწავლო დატვირთვას დროში (1 კრ=25/30 სთ), დუალურ პროგრამებში კრედიტი გამოხატავს სწავლას შედეგის ხვედრით წონას საერთო კვალიფიკაციის ფარგლებში (მნიშვნელობა, სირთულე, სიხშირე).

6.8. სწავლას შედეგების გაყოფა ხდება სასწავლო უნივერსიტეტსა და საწარმოს შორის. შენარჩუნებულია სწავლას შედეგის მისაღწევად საათების განაწილების სქემა, თუმცა მხოლოდ სასწავლო ფარგლებში მისაღწევი სწავლას შედეგებისათვის. საწარმოში მიღწეული სწავლას შედეგისათვის პირს მიენიჭება სწავლას შედეგისათვის განსაზღვრული კრედიტი, მიუხედავად ამ სწავლას შედეგის მისაღწევად ხარჯული დროისა.

6.9. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა (ისგ) მუშავდება სასწავლო უნივერსიტეტში „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

6.10. პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლას შედეგები, შეადგენს არანაკლებ 3 სასწავლო წელს. სტუდენტის დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია იყოს 30 საათზე ნაკლები, მაგრამ არაღემატება 40 საათს.

6.11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლას შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

6.12. შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტივობის ტვიცდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ძირითადი სასწავლო გეგმის ცვლილების გარეშე.

7. განმახორციელებელი ადამიანური რესურსები.

7.1. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოდულების განმახორციელებელი პერსონალი შეარჩიოს შიდა ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს როგორც ზეპირი გასაუბრების, ასევე სპეციფიკის გათვალისწინებით კონკურსის წესს;

7.2. მდუღებლის განმახორციელებლის შერჩევის დროს სასწავლო უნივერსიტეტი ეფუძნება როგორც კვალიფიკაციას ან/და სამუშაო გამოცდილებას, ასევე ზეპირ ან/და წერილობით რეკომენდაციას სამუშაო ადგილთან.

7.3. პროგრამის დამტკიცებამდე სასწავლო უნივერსიტეტსა და მოდულებს განმახორციელებელ პერსონალთან ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულება - ე.წ. დასაქმების კანდიდატის ხელშეკრულება, რომელიც ძალში შედის პროგრამის ავტორიზაციის შემდგომ საჭიროების შესაბამისად.

7.4. დასაქმების კანდიდატის ხელშეკრულებაში არ მიეთითება ანაზღაურების ოდენობა.

8. ინვენტარი, აღჭურვილობა

8.1. A და B გარემოს ინვენტარი, აღჭურვილობა და მასალა /ნედლეული ოდენტურია ყველ მოდულსა და ყველ პროგრამისათვის, ხოლო C გარემოსათვის განსაზღვრული ინვენტარი, აღჭურვილობა და მასალა /ნედლეული ინდივიდუალური თითოეული მოდულსათვის. პროგრამა მოიცავს სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე პროგრამის განხორციელებისთვის არსებული ან/და მემორანდუმის საფუძველზე პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკული კომპონენტების გავლს მიზნით ხელისაწვდომ მატერიალური რესურსის შესახებ ჩამონათვალს, რომელიც შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დანართის საფუძველზე.

8.2. შესამუშავებელი პროგრამის განსახორციელებლ და უცილებელ აღჭურვილობასა და გარემოს სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის საბოლოო ფორმირებამდე, სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს წინაშე დასამტკიცებლ დწარდგენამდე, ხოლო მასალა და ნედლეული შეძენილი იქნება საჭიროებისამებრ, პროგრამის ავტორიზაციის შემდგომ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობის შესაბამისად.

9. პრაქტიკის ობიექტებთან/პარტნიორ ორგანიზაციებთან ან/და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის/ხელშეკრულება (არსებობის შემთხვევაში)

9.1. პროგრამის ნებისმიერი მიდგომით განხორციელების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით (საჭიროებისამებრ) დებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ან/და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას :

- ა) პარტნიორ ორგანიზაციასთან, რომელიც საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტების გავლას;
- ბ) პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც საჭიროების შემთხვევაში (პროგრამის გაუმჯობესების ან სხვა) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მოხილვას იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ამასთან მსგავსი ხელშეკრულების გაფორმება ითვალისწინებს ურთიერთთანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარებას;

9.2. პრაქტიკის ობიექტებთან მემორანდუმი ზოგადი ხასიათის ურთიერთთანამშრომლობას გულისხმობს, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების მსმენელებისა და დამსაქმებლის საჭიროებაზე ორიენტირებულ განათლების განხორციელებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შედეგებით გათვალისწინებულ პრაქტიკული კომპონენტების გავლას. პრაქტიკის ობიექტი იღებს ვალდებულებას პროფესიული სტუდენტები/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების მსმენელები უზრუნველყოს უსაფრთხო გარემოთი, გამოყოს მათთვის დარგის შესაბამისი სპეციალისტი და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას; რაც შეეხება პროფესიული სტუდენტების/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების მსმენელების რაოდენობა და კონკრეტულ ვადები განისაზღვრება შემდგომი ხელშეკრულებით, რომელიც პრაქტიკის განხორციელებამდე ექვემდებარება განახლებას.

9.3. პრაქტიკის ობიექტებთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება უფრო კონკრეტული ხასიათისაა, მასში დაზუსტებულია პროფესიული სტუდენტების/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების მსმენელების ის მაქსიმალური რაოდენობა, რომლის მიღებაც პრაქტიკის ობიექტს საჭიროების შემთხვევაში ერთდროულად შეუძლია, მითითებული ან/და თანდართულია მოდული/მოდულები/პროგრამა, რომლის გავლაც მოუწევთ პროფესიულ სტუდენტებს პრაქტიკის ობიექტზე, თან ერთვის მასალა/ინვენტარის ჩამონათვალი, რომელიც

ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენტისათვის სწავლების პერიოდში.

9.4. იმ შემთხვევაში თუ მსგავს პროფესიულ პროგრამას არ ახორციელებს არცერთი საგანმანათლებლო დაწესებულება, მაშინ სასწავლო უნივერსიტეტი ნებისმიერ შემთხვევაში შიდა ნორმატიულდოკუმენტის საფუძველზე უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო პროცესს.

9.5. იმ შემთხვევაში თუ ვერ ხდება პარტიორი ორგანიზაციის მოძიება პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაშინ სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესს ყველ აუცილებელი პრაქტიკული კომპონენტით.

9.6. პროგრამა, სადაც სწავლს შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, საწარმოსთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება ითვალისწინებს შემდეგს:

ა) სასწავლო უნივერსიტეტი საწარმოსთან ერთად შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სასწავლო გეგმას. ამ პროცესში, საწარმოსთან ერთად განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლს შედეგები, რომელთა მიღწევა და შეფასება ხორციელდება საწარმოში, მათი ხანგრძლივობა და განხორციელების პერიოდი;

ბ) ხელშეკრულებით განისაზღვრება პროფესიული სტუდენტთა რაოდენობა, უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნის პირობები და ა.შ.

გ) სასწავლო უნივერსიტეტმა საწარმოსთან ერთად უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა შერჩევის პროცედურების განხორციელებას დადგენილი წესით.

დ) საწარმო ვალდებულია პროფესიულ სტუდენტთა სწავლების განხორციელებისათვის გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომელი/ინსტრუქტორი, რომელიც უზრუნველყოს მათ სწავლებას, საწარმო პროცესსა და შეფასებაში მონაწილეობას, ზედამხედველობის გაწევას პროფესიულ სტუდენტთა ჩანაწერების ჟურნალს წარმოებაში.

9.7. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელიც ითვალისწინებს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტს კლინიკური სწავლება უზრუნველყოფილია შესაბამის ორგანიზაციასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით, რომელიც მოიცავს:

ა) უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნის პირობებს;

ბ) მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას;

გ) მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით სტუდენტთა სწავლებისა და შეფასებისთვის გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ან/და სამუშაო გამოცდილების მქონე კვალიფიციური პერსონალი. შესაძლოა პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით მათ მიმართ წამოყენებული იყოს განსაკუთრებული მოთხოვნები.

მუხლო 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების პროცედურა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიციატორი შეიმუშაოს სასწავლო უნივერსიტეტი, და მსაქმებელ, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი, სხვა.
2. ახალ პროგრამის დამატების შესახებ დასაბუთებული ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით - „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“, შესაბამისი ბაზრის კვლევის ან სხვა არგუმენტირებული წინაპირობიდან გამომდინარე.
3. პროგრამის დამატების ინიციატივას და მის მიზანშეწონილობას იხილვს სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირი შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და საავტორიზაციოდ მომზადების მიზნით, პროფესიული განათლების დეპარტამენტის წარდგინებით სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირი/ორგანო ამტკიცებს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას, რომელშიც შედის: დარგის/განათლების სპეციალისტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები. შესაძლებელია ჯგუფში შედიოდეს და მსაქმებელ, მოწვეული ექსპერტი, სტუდენტი. კურსდამთავრებული და სხვა.
5. სამუშაო ჯგუფი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში მიზანშეწონილობასთან ერთად ეფუძნება სასწავლო რესურსების მატერიალურ-ტექნიკური, პრაქტიკის ობიექტების, საბიბლიოთეკო, დამიანური, ფინანსური რესურსებისა და შესაბამისი მიმართულების სხვა მონაცემებს.
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება სამუშაო ჯგუფის მიერ ხორციელდება წინამდებარე წესის მე-4 მუხლს შესაბამისად, რომლის შემდეგაც პროგრამის მთლიან პაკეტს (ძირითადი დოკუმენტი და დანართები) შესათანხმებლად წარუდგენს პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსს. თანხმობის შემთხვევაში პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი პროგრამას

შეფასებისთვის/დასკვნისთვის გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

11. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილვს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ მასალებს და შესაბამისი რეკომენდაციებითა და შენიშვნებით(ასეთის არსებობის შემთხვევაში) უზრუნველს პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსს შემდგომი რეაგირებისთვის.
12. პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი საბოლოოდ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს, რომელიც უფლებამოსილია მოიწვიოს დამატებით დარგის სპეციელისტი/ დამოუკიდებელი ექსპერტი.
13. პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა – განისაზღვრება „სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა / პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა /პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად;
14. საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს აკადემიური საბჭო. პროგრამის ავტორიზაციაზე (ავტორიზაციის საბჭოს მიერ) უარის თქმის შემთხვევაში ახალი დადგენილებით განისაზღვრება მისი არარაღმართვლად საკითხი.
15. აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი პაკეტი, პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ შევსებულ განაცხადთან და მის დაწარმებთან ერთად სასწავლო უნივერსიტეტის მიერ იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;
16. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ, სასწავლო უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილ წესის შესაბამისად უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიულ სტუდენტთა მიღება დამატებულ პროფესიულ პროგრამაზე.

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანა /მოდიფიცირება.

1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა /მოდიფიცირება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული დონის მიუხედავად შედეგების ანალიზის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების,

პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, მოდულის განმახორციელებლის, ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების და სხვა გარემოებების საფუძველზე.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელს ან/და მოდულის განმახორციელებელს ან/და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელს ან/და პროფესიული განათლების დეპარტამენტს.
3. დუალური მიდგომით გასახორციელებელი პროგრამის შემთხვევაში ცვლილებების ინიცირება შეუძლია პროგრამის განხორციელებაში ჩართულ საწარმოს, თუმცა ამავე პროგრამაში სხვისი ინიცირებით გასახორციელებელი ცვლილების შესახებ ასევე უნდა ეცნობოს საწარმოს, თანხმობის შემთხვევაში ფორმდება სასწავლო უნივერსიტეტსა და საწარმოს შორის შეთანხმება.
4. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს (აკადემიური საბჭო) და დგენილებით.
5. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ საავტორიზაციო პერიოდში განხორციელებულ ცვლილებები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების (კრედიტების ცვლილების), ასევე სწავლის შედეგის მიღწევის ადგილს ცვლილების შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტი აღნიშნული ცვლილების შესახებ ცენტრს აცნობებს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და ცენტრს წარუდგენს შესაბამის დასაბუთებას და მტკიცებულებებს.
6. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლას შემთხვევაში ი სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას პროფესიულსაგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას და ცენტრს აცნობებს აღნიშნულის შესახებ შესაბამის პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულსტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე.
7. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო უნივერსიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას, შეცვლილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდმასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ის ამ გადაწყვეტილებას აცნობებს ცენტრს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში

მუხლი 6. პროფესიული მომზადების პროგრამა /პროფესიული გადამზადების შემუშავებული პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

1. შემუშავებული პროფესიული მომზადების /პროფესიული გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამის თავფურცელზე მიეთითება :

- ა) პროგრამის დამტკიცების გრიფი;
- ბ) საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება (დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით);
- გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;
- დ) საკონტაქტო ინფორმაცია;
- ე) პროგრამის ხელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში);
- ვ) ქალაქის დასახელება (საგანმანათლებლო დაწესებულების მდებარეობის მიხედვით)

ზ) წელი.

1. შემუშავებული პროფესიული მომზადების /პროფესიული გადამზადების პროგრამაში აისახება :

- ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ
- პროგრამის სახელწოდება;
- პროგრამის სახე;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე;
- პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში;
- კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა;
- მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- პროგრამის მიზნები;
- სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნართან/და კომპეტენციით)
- პროგრამის შემუშავების საფუძველი;
- პროგრამის მოკლე აღწერა;
- პროგრამის შინაარსი;
- პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან (ივსება მხოლოდ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პროფესიული მომზადების /პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, რომელიც შემუშავებულია იმ პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც სასწავლო უნივერსიტეტს მოპოვებული აქვს ავტორიზაციით)

მუხლი 7. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების/მოდიფიცირების და დამტკიცების პროცედურები

1. სასწავლო უნივერსიტეტი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას შემუშავებს მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის No59/ნ ბრძანების და ნართით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად და უფლებამოსილია დაეყრდნოს ერთ-ერთ შემდეგ საფუძველს:
 - ა) პროფესიის სტანდარტს;
 - ბ) პროფესიულ-საგანმანათლებლო სტანდარტს;
 - გ) მოდულს/მოდულებს.
2. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (დამსაქმებელი, სასწავლო უნივერსიტეტი, სახელმწიფო უწყება და სხვა.)
3. პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობა დგინდება მისი მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნადობის გათვალისწინებით, შესაბამისი კვლევის ან დამსაქმებლის მომართვიანობის საფუძველზე.
4. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება ხდება პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ.
5. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის უფლების მოპოვებისა და შემუშავების/მოდიფიცირების მიზნით, პროფესიული განათლების დეპარტამენტის წარდგინებით რექტორი ამტკიცებს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას, რომელშიც შედის: დარგის/განათლების სპეციალისტ(ებ)ი, პროფესიული განათლების მასწავლებლები. შესაძლებელია ჯგუფში შედიოდეს დამსაქმებელი, მოწვეული ექსპერტი და სხვა.
6. სამუშაო ჯგუფი პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების პროცესში ეფუძნება სასწავლო უნივერსიტეტის დარგის სპეციალისტთა მიერ განსაზღვრულ საჭიროებებს, მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, ადამიანური და ფინანსური რესურსების შესახებ მონაცემებს.
7. პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი საბოლოოდ შემუშავებულ პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს დამატებით შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი/დარგის სპეციალისტი/დამოუკიდებელი ექსპერტი.

8. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია დამატებითი უფლების მოპოვების გარეშე განახორციელოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ების ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლება მას ავტორიზაციის შედეგად აქვს მოპოვებული,
9. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოიპოვოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის/ების განხორციელების უფლება იმ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლება მას ავტორიზაციის შედეგად არ აქვს მოპოვებული;
10. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოიპოვოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის/ების განხორციელების უფლება კანონმდებლობით დადგენილი წეს(ებ)ის შესაბამისად.
11. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოიპოვოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის/ების განხორციელების უფლება იმ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლება მას ავტორიზაციის შედეგად არ აქვს მოპოვებული და დამსაქმებლის დაკვეთით პროგრამა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივად აშემუშავებული.
12. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამ(ებ)ს ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანო-აკადემიური საბჭო;
13. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის/ების უფლების მოპოვებაზე უარის თქმის შემთხვევაში ახალი დადგენილებით განისაზღვრება მისი არა რადიკალის საკითხი.
14. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტ(ებ)ი ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ი მოიყვანოს შესაბამისობაში.
15. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების შემთხვევაში, რომლის ფარგლებშიც აშემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, მსმენელს დაასრულებინოს სწავლა.

მუხლო 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების/ შეფასების/ განვითარების/ შეჩერების/ გაუქმების პროცედურები

1. სასწავლო უნივერსიტეტიში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების შეფასებას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების დეპარტამენტთან აქტიური თანამშრომლობით.
2. პროგრამების შეფასება ხორციელდება როგორც გამოკითხვის, ასევე ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიუებით;
3. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
4. კითხვარი ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე.
5. პროგრამის გაუმჯობესება/განვითარებისთვის ცვლილების ინიციატორი (მუხლო 5. მე-2 პუნქტი) მიმართავს:

ა) სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს, თუ ცვლილების მიზანია თემატიკის გამრავალფეროვნება, სწავლის მეთოდების შეცვლა, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლა, სასწავლო გეგმის შეცვლა, რეაგირების მიზნით სასწავლო პროცეს პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლა და სხვა.

ბ) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს თუ ცვლილების მიზანია:

1. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტებში-პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ან/და მოდულში/მოდულებში ტექნიკური ცვლილება/ცვლილებების ან/და მოდულის/მოდულების ზოგად და სტანდარტული ჩანაწერებში შინაარსობრივ ცვლილება/ცვლილებებს, დამხმარე ჩანაწერებში მატერიალური რესურსების ცვლილება/ცვლილებებს;
2. დამსაქმებლთან მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით დინამიკა რომ შრომის ბაზარზე ჩნდება ახალი უნარის საჭიროება, რომელსაც მიმდინარე პროგრამა ვერ ფარავს;

6. ცვლილებების ინიცირება შეუძლია პროფესიული განათლების დეპარტამენტს, ასევე მასწავლებლებს/პროგრამის ხელმძღვანელს/დარგის სპეციალისტს/დამსაქმებელს საჭიროების დასაბუთების გზით და წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

7. ადმინისტრაციის ხელმძღვანელო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს პროგრამა(ებ)ს საჭირომატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსებით.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამის შეჩერება/გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს/პროფესიული განათლების დეპარტამენტის არგუმენტირებულ წარდგინების საფუძველზე, იღებს აკადემიური საბჭო.

9. საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შეჩერება/გაუქმების შესახებ სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარდგინება/პროფესიული განათლების დეპარტამენტის არგუმენტირებულ წარდგინება უნდა ეფუძნებოდეს სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგებს/ან და შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას ან/და კურსდამთავრებულთა მაჩვენებლის შესწავლას ან/და ფინანსური მდგრალობის ანალოზს ან/და მატერიალური რესურსის შეფასებას.

10. პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამაში სწავლას შედეგების ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია შესაბამისი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა მოიყვანოს შესაბამისობაში და მიღებულ ცვლილებებით ახალი მიღების გამოცხადებამდე წარუდგინოს სსიპ-განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს.

მუხლო 10. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე წესში შეიძლება შევიდეს ცვლილებები და დამატებები სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებებით.

და ნ ა რ თ ი №1 -პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულური) სასწავლო გეგმის ნიმუში

და ნ ა რ თ ი №2 -პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო (დუალური) სასწავლო/სამუშაო გეგმის ნიმუში

და ნ ა რ თ ი №3 - პროფესიული მომზადება /პროფესიული გადამზადების პროგრამის ფორმა